

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 6 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ზოიძე, ალ.დლონტი, ჯ.თავართქილაძე, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ე.ვასაძე, ლ.სიჭინავა, ხ.ცერცვაძე, დ.მამალაძე, ლ.ნინიძე, ნ.ორაგველიძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი.სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში არსებული სოციალური დახმარებების გაცემის წესში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

თანამომხს: ი.სირაძე

კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ კომისიის სხდომები მომავალში გაიმართოს ყოველთვის პირველ და მესამე ოთხშაბათს, შემდეგ მოისმინეს და იმსჯელეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში არსებული სოციალური დახმარებების გაცემის წესში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად გაწეული მუშაობის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ი.სირაძის ინფორმაციაზე.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს მერის მოადგილის ი.სირაძისა და მისი საკურატორო სამსახურების კარგ მუშაობაზე.

გადაწყვეტის:

1. კომისიის სხდომები გიმართოს ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს, რის თაობაზეც ეცნობოს საკრებულოს ბიუროს.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში არსებული სოციალური დახმარებების გაცემის წესში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, გაწეული მუშაობის შესახებ“- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ი.სირაძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია